კონკურსი

საიას აჭარის ფილიალის იურიდიული დახმარების ცენტრში ანაზღაურების გარეშე თანაშემწეთა/სტაჟიორთა მისაღებად

სამუშაო ადგილი: ბათუმი

სამუშაო დატვირთვა: არასრული

განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადა: 2023 წლის 29 სექტემბერი

იურიდიული დახმარების ცენტრში თანაშემწედ/სტაჟიორად ყოფნა გულისხმობს 6 თვიანი კურსის გავლას, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მონაწილეები მიიღებენ შესაბამის სერთიფიკატს.

www.GYLA.GE

batumi@gyla.ge

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

კონკურსი საიას აჭარის ფილიალის იურიდიული დახმარების ცენტრში ანაზღაურების გარეშე

თანაშემწეთა/სტაჟიორთა მისაღებად

სამუშაო ადგილი: ბათუმი
სამუშაო დატვირთვა: არასრული
განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადა: 2023 წლის 29 სექტემბერი

იურიდიული დახმარების ცენტრში თანაშემწედ/სტაჟიორად ყოფნა გულისხმობს 6 თვიანი კურსის გავლას, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მონაწილეები მიიღებენ შესაბამის სერთიფიკატს.

კონკურსი მიმდინარეობს როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით. კონკურსის შედეგად შეირჩევა 3 პირი. შერჩეული კანდიდატები საქმიანობას შეუდგებიან 2023 წლის ოქტომბრიდან. სტაჟირების პროცესი წარიმართება როგორც პირისპირ, ისე - დისტანციურ რეჟიმში.

კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ იურიდიული ფაკულტეტის/საერთაშორისო სამართლის ბაკალავრიატის მე-3 და ზედა კურსის სტუდენტებს ან კურსდამთავრებულებს.

თანაშემწეების/სტაჟიორების მოვალეობებია:

- სარჩელების, განცხადებებისა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადებაში ადვოკატების დახმარება;
- იურიდიულ დახმარების ცენტრში მოქალაქეებისაგან შემოსული კითხვა-პასუხების ელექტრონულ პროგრამაში ასახვა და პირად/სატელეფონო კონსულტაციებზე დასწრება;
- საკანონმდებლო სიახლეებზე მუშაობა;
- კონკრეტულ საკითხებზე სასამართლო პრაქტიკის მოძიება და გაანალიზება;
- იურისტების დავალებების შესრულება;
- სამართლებრივი ბროშურების შედგენისას იურისტების დახმარება.

კონკურსის შედეგად შერჩეულ პირებთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება თანაშემწეთა/სტაჟიორთა უფლება-მოვალეობები.

კონკურსის ეტაპები:

- ~~წერითი გამოცდა~~ - დაშვებული იქნება კანდიდატი, რომელიც სრულყოფილად გამოგზავნის შესაბამის დოკუმენტებს. წერით გამოცდაზე კონკურსში მონაწილეებს ევალებათ კაზუსების ამოხსნა სამოქალაქო/ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მიმართულებით, განაცხადში მონაწილის მიერ მითითებული სფეროს მიხედვით;
- ~~გასაუბრება~~ - დაშვებული იქნება ის კანდიდატი, რომელიც წარმატებით გადალახავს პირველ ეტაპს.

განაცხადების მიღება

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ელ. ფოსტაზე - batumi@gyla.ge უნდა გამოგზავნოს:

- განაცხადი (იხ. მიბმული დოკუმენტი);
- იურისტის დიპლომი ან შესაბამის კურსზე სწავლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ) დასკანერებული სახით.

გთხოვთ, მეილის A□□□□□□□∀ ველში მიუთითოთ თქვენთვის სასურველი სამართლის სფერო (,,სისხლის სამართალი“ ან ,,სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალი“).

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2023 წლის 29 სექტემბერი 18:00 სთ. მონაწილეებთან, რომლებიც ხარვეზით გამოგზავნიან დოკუმენტებს, დამატებით დაკავშირება ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით არ მოხდება. ~~*არასრულყოფილად წარმოდგენილი ან დაგვიანებით გამოგზავნილი განაცხადები არ იქნება განხილული.*~~

წერითი გამოცდისა და გასაუბრების თარიღები და ფორმატი, ასევე კონკურსის შედეგები გეცნობებათ მეილზე.

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირები: თამარ წულუკიძე

ელ. ფოსტა: batumi@gyla.ge